ახალი განთიადი

,,ბედნიერია ის, ვისაც
სამშობლოსათვის უძგერს გული,,

15 - 28 ივლისი 2013 წელი №13 № 8047 ელფოსტა : AxaliGantiadi@gmail.com.

,,როდესაც ადამიანს გულში უფალი ჰყავს,, გვ4.

პრობლემა მოგვარებულია გვ2.

სადღეგრძელთათ ჯანდაცვის პროგრამის მეორე ეტაპის მიხედვით გვ 2–3.

ქართული ხალხური ცეკვების კონკურს-ფესტივალი გვ3

..და სიმღერისთვის შეიქმნა ადამიანი.. გვ3.

კალიები აშურიანის ველზე გვ2.

,,ფერიათა ალლუმი – 2013,, გვ2.

იუბილე ხსოვნის ტაძარში გვ5.

ქალაქის ქრონიკები

მუსიკალურ სკოლაში გვ5.

დასრულდა 2012-2013 სას-წავლო წლის მოსწავლეთა სპარტაკიადა გვ7.

პრობლემა მოგვარებულია

კასპის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი ოლეგ იაძე სამუშაო კაბინეტში ვარჯაანის მოსახლეობას შეხვდა. მათი თქმით დასახლებაში ყველაზე დიდ პრობლემას სასმელი წყლის უქონლობა წარმოადგენს, რომელიც ერთი თვის განმავლობაში არ მიეწოდებათ. დაზიანებულია ქეჩერუხის 45 კვ-იანი მეორადი გადამქაჩი ტუმბოს ძრავი, რომელიც დაახლოებით 250 ოჯახს ამარაგებს.

ოლეგ იაძე მოსახლეობას არსებული პრობლემის მოგვარებას შეჰპირდა. მისი თქმით ძრავის შეკეთება ერთი კვირის ვადაში დასრულდება, მანამდე კი მოსახლეობას წყლის გადამზიდი მანქანებით მოამარაგებენ. ამჟამად პრობლემა მოგვარებულია და ვარჯაანის მოსახლეობას წყალი შეუფერხებლად მიეწოდება.

კალიები აშურიანის ველზე

კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიაზე, კერძოდ აშურიანის სასოფლო-სამეურნეო მიწებზე, სურსათის უვნებლობის რეგიონალურმა სამსახურმა ტერიტორია კალიის საწინააღმდეგო ქიმიური ხსნარით შეწამლა.

ბოლო კვირის განმავლობაში მომრავლდა კალია, რომელიც ნათესებს საფრთხეს უქმნის. ჩატარებული სამუშაოები კალიის განადგურებას უწყობს ხელს. სპეციალისტების განმარტებით შეწამვლის შედეგად არსებული კალიების 80 პროცენტი განადგურდება.

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის მეორე ეტაპის მიხედვით

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა 2013 წლის 28 თებერვლიდან ამოქმედდა და ის შეეხო საქართველოს ყველა იმ მოქალაქეს, რომელსაც დაზღვევა არ გააჩნდა. პროგრამა 453 ნოზოლოგიის, ექიმის მომსახურებისა და ბაზისური ლაბორატორიული ანალიზის დაფინანსებას ითვალისწინებდა. პროგრამაში 425 პროვაიდერი დაწესებულებაა ჩართული და მასში 134765 ბენეფიციარია დარეგისტრირებული. აქედან გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურება 41713 პაციენტს გაეწია, 15.275 გადაუდებელი სტაციონარული შემთხვევა დაფიქსირდა. სულ 6 361 132 ლარი გაიხარჯა.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოს საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის მეორე ეტაპის მიხედვით, პირველი ივლისიდან ანაზღაურდება:

1. **ამბულატორია**

ექიმ-სპეციალისტების მომსახურება, ოჯახის ექიმი, ენდოკრინოლოგი, ოფთალმოლოგი, კარდიოლოგი, ნევროლოგი, ოტორინოლარინგოლოგი, გინეკოლოგი, უროლოგი.

კვლევა: ელექტროკარდიოგრაფია, მუცლის ღრუს ექოსკოპია, გულმკერდის რენტგენოსკოპია-რენტგენოგრაფია.

ლაბორატორია: სისხლის საერთო ანალიზი, შარდის საერთო ანალიზი, გლუკოზა პერიფერიულ სისხ

* დასასრული მე-3 გვ.

“ფერიათა ალლუმი - 2013”

შპს “ჰარმონია-”ში საღამო-ჩვენება “ფერიათა ალლუმი-2013” გაიმართა. მასში მონაწილეობდნენ მუნიციპალიტეტის მასშტაბით – როგორც საბავშვო ბაღის აღსაზრდელები, ასევე მოზარდი გოგონებიც 12 წლის ჩათვლით. საღამოს მონაწილეები ოთხი ჩვენებით წარდგნენ მაყურებლის წინაშე.

განსაკუთრებით პატარები აქტიურობდნენ, რომლებიც მაყურებლისათვის თავის მოწონებას ცდილობდნენ. საღამო გაალამაზა კასპის მე-2 მუნიციპალური ხალხური და საესტრადო სიმღერის “და სიმღერისთვის შეიქმნა ადამიანი”-ს კონკურს-ფესტივალის გამარჯვებულთა გამოსვლამ.

საღამოს ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის წევრი, კასპის მაჟორიტარი დეპუტატი დავით ონოფრიშვილი და კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელი ოლეგ იაძე, რომლებმაც პატარებს ღონისძიებაში მონაწილეობა მიულოცეს და წარმატებები უსურვეს.

კონკურსის ყველა მონაწილეს გადაეცა სიგელი და ფასიანი საჩუქრები. “ფერიათა ალლუმ-2013”-ის სპონსორი იყო მუსიკოსი, პოეტი და მეწარმე არჩილ ჯოჯიშვილი, რომელმაც პატარებს საჩუქრად საკუთარი ლექსების კრებულიც გადასცა.

ღონისძიება კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ორგანიზებით გაიმართა.

ელენა გოგოლაური, კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

* დასასრული

ლში, კრეატინინი, ქოლესტერინი სისხლში,შრატში ლიპიდების განსაზღვრა, ანალიზი ფარულ სისხლდენაზე, პროთრომბინის დრო, ღვიძლის ფუნქციური სინჯები, ფარისებრი ჯირკვლის თირეოტროპული ჰორმონი. დაფინანსდება 70-100 %-ით.

2. გაფართოებული ურგენტული[1] შემთხვევები

გადაუდებელი ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურება – ლიმიტი ერთეულ შემთხვევაზე 15000 ლარი.

დაფინანსდება 70-100 %-ით..

3. გეგმური ქირურგიული ოპერაციების ფართო სპექტრი

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის მეორე ეტაპის მიხედვით

გეგმიურ ქირურგიულ ჰოსპიტალიზაციასთან (მათ შორის სტაციონარი) დაკავშირებული წინა საოპერაციო, ოპერაციის მსვლელობისას და პოსტოპერაციულ პერიოდში განხორციელებული ყველა ტიპის ლაბორატორიული და ინსტრუმენტული გამოკვლევები – წლიური ლიმიტი 15000 ლარი.

დაფინანსდება 70 %-ით.

4. ონკოლოგია

დიაგნოსტიკა და მკურნალობა, კერძოდ, ქიმიოთერაპია, ჰორმონოთერაპია და სხივური თერაპია, აგრეთვე, ამ პროცედურებთან დაკავშირებული გამოკვლევები და მედიკამენტები – წლიური ლიმიტი 12000 ლარი.

დაფინანსდება 80 %-ით.

5. მშობიარობა

ფიზიოლოგიური მშობიარობა – ლიმიტი 500 ლარი, საკეისრო კვეთა – ლიმიტი 800 ლარი.

პროგრამა ვრცელდება, როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სამედიცინო დაწესებულებებში.

პირველი ივლისიდან საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში ურგენტული შემთხვევების და-

/

[1] - *გადაუდებელი მდგომარეობა, რომელიც მოითხოვს დაუყოვნებლივ სამკურნალო ღონისძიებებს ავადმყოფის სიცოცხლის გადასარჩენად./*

დაზღვეულს შეუძლია, საქართველოში სასურველი კლინიკა თავად შეარჩიოს. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის დავით სერგეენკოს განცხადებით, სადაზღვევო კომპანიები სამედიცინო მომსახურების ბაზარზე აუცილებლად დარჩებიან და მათთან ინტენსიური კონსულტაციები გაიმართება.

ქართული ხალხური ცეკვების კონკურს-ფესტივალი

გაზაფხულ-ზაფხულის მიჯნიდან მოყოლებული შპს ,,ჰარმონია-ში,, მრავალი საინტერესო კონკურს-ფესტივალი გაიმართა. მათ შორის ალბათ, ერთ-ერთი მასშტაბური ქართული ხალხური ცეკვის ფესტივალი იყო, იმ გასაგები მიზეზის გამო, რომ კასპის მუნიციპალიტეტში მოსწავლეთა, გნებავთ მოზარდთა ოთხმოცი პროცენტი სხვადასხვა სტუდიებში სწავლობს ქართულ ხალხურ ცეკვას.

ჯავარ ნაჭყებიას სახელობის

2013 წლის 23 ივნისს შ.პ.ს. "ჰარმონია"-ში (დირექტორი ზაზა მენაბდიშვილი) ჩატარდა ჯავარ ნაჭყებიას სახელობის ქართული ხალხური ცეკვების I მუნიციპალური კონკურს-ფესტივალი.

ფესტივალის სამხატვრო ხელმძღვანელი – შ.პ.ს. "ჰარმონია"-ს დირექტორი ზაზა მენაბდიშვილი, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე – კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე, წევრები: ლია მენაბდიშვილი – მასობრივ ღონისძიებათა რეჟისორი, კინომცოდნე; ქართლოს ხორგუაშვილი – კასპის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორი.

ჟიურის შემადგენლობაში იყვნენ: თავმჯდომარე – რამაზ ცნობილაძე, საქართველოს ხალხური შემოქმედების საზოგადოების პრეზიდენტი; ალექსანდრე გაბოძე – საქართველოს კულტურის განვითარებისა და აღორძინების ცენტრის პრეზიდენტი; გიგლა ნაჭყებია – რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, ქორეოგრაფი; გია კენკებაშვილი – პედაგოგ-ქორეოგრაფთა გაერთიანება "საქართველოს ერთსულოვნება"-ს თავმჯდომარე, ქორეოგრაფი.

კონკურს-ფესტივალში მონაწილეობდნენ კასპის მუნიციპალიტეტის ქორეოგრაფიული ანსამბლები. დებულების თანახმად ყველა ანსამბლი უფლებამოსილი იყო შეესრულებინა ორი მასიური და

* დასასრული მე-7 გვ.

კასპის მუნიციპალური მე-2 კონკურს-ფესტივალი

"და სიმღერისთვის შეიქმნა ადამიანი"

კარგა ხანია აღარავისთვისაა სიახლე, რომ საქართველოში "ყველა" მღერის. ამ გამოთქმამ კარგა ხანია დაიტია ქართველთა ბედისწერადქცეული ნიჭი სიმღერისა და ცეკვისა. თვითგამოხატვის, გნებავთ თვით რეალიზაციის ქართული ხალხური მეთოდი დასაბამიდან ახალისებს ყოფას, რომელიც ბინდისფერ წუთისოფელშიც სიმღერისათვის აცლევინებდა ქართველს ... ალბათ ამიტომ უამრავი სიმღერის ფესტივალ-კონკურსი ტარდება ჩვენთან. ამასწინათაც შ.პ.ს. "ჰარმონიაში" ჩატარდა კასპის მუნიციპალური მე-2 კონკურს-ფესტივალი "და სიმღერისთვის შეიქმნა ადამიანი."

კონკურს-ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე იყო კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე; სამხატვრო ხელმძღვანელი – შ.პ.ს. "ჰარმონია"-ს დირექტორი ზაზა მენაბდიშვილი, კონკურს-ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის წევრები კი იყვნენ - კასპის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორი - ქართლოს ხორგუაშვილი, მას. ღონისძიებათა რეჟისორი, კინომცოდნე – ლია მენაბდიშვილი; შ.პ.ს. "ჰარმონია"-ს ბუღალტერი - მაია კობაიძე.

კონკურს-ფესტივალის ჟიურის შემადგენლობაში იყვნენ: ზურაბ ჩინჩალაძე – კომპოზიტორი (ჟიურის თავმჯდომარე), ზურაბ გუგუშვილი – ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის თეატრალური მიმართულების რეჟისორი, დავით ქურიძე – რეჟისორი, დრამატურგი, პოეტი.

კონკურსზე განისაზღვრა მონაწილეთა ასაკობრივი ჯგუფები კერძოდ: I ასაკობრივი ჯგუფი – 3-დან 10 წლის ჩათვლით, II ასაკობრივი ჯგუფი – 11 წლიდან 15 წლის ჩათვლით.

პირველ ასაკობრივ ჯგუფში დიპლომანტები გახდნენ:

კოდალაშვილი ტოლიკა, 5 წლის, (ს. ოკამი, პედაგოგი ციური გიგაური),

მღებრიშვილი ნინო – 4 წლის (ს. მეტეხი, პედ. თამარ ბახტაძე),

ლელაშვილი ლუკა – 5 წლის (ს. მეტეხი, პედ. თამარ ბახტაძე),

შარიფაშვილი მეგი – 4 წლის (ს. მეტეხი, პედ. თამარ ბახტაძე),

ბეჟიტაშვილი ნანა – 4 წლის (ს. სასირეთი),

დათაშვილი მარიამი – 5 წლის (ქ. კასპი, პედ. ნინო მერებაშვილი).

მეორე ასაკობრივ ჯგუფში დიპლომანტები გახდნენ:

ქავთარაძე ბექა – 14 წლის (ს. ოკამი. პედ. ციური გიგაური),

დუეტი – ნათაძე მარი, თოფურია ნიკა (ს. ქვ. ჭალა, პედ. თამარ საჩალელი).

პირველ ასაკობრივ ჯგუფში ლაურეატები გახდნენ:

გინტური ხატია – 5 წლის;

შაბიაშვილი ნია – 6 წლის (ს. ოკამი, პედ. ციური გიგაური),

ბარნაბიშვილი მარიამი – 10 წლის (ს. სასირეთი),

კობაიძე ნინო – 8 წლის (ქ. კასპი, პედ. თამარ ხოკრიშვილი).

მეორე ასაკობრივ ჯგუფში ლაურეატები გახდნენ:

გელიტაშვილი ვატო – 11 წლის (ს. სასირეთი, პედ. თამარ ბახტაძე),

ნონიკაშვილი ეთერი – 11 წლის (ს. კავთისხევი, პედ. კახა ნონიკაშვილი).

III ადგილი I ასაკობრივ ჯგუფში:

ბეჟიტაშვილი ელენე – 4 წლის (ს. სასირეთი),

მეშველაშვილი ანანო – 8 წლის (ქ. კასპი, პედ. თამარ ხოკრიშვილი),

დათაშვილი სანდრო – 5 წლის ქ. კასპი).

III ადგილი II ასაკობრივ ჯგუფში:

მაჭარაშვილი არსენ 12 წლის (ს. ქვ. ჭალა, პედ. ხათუნა ბათილაშვილი),

გულიაშვილი საბა – 12 წლის (ს. სასირეთი).

II ადგილი I ასაკობრივ ჯგუფში:

მამულაშვილი ხატია – 8 წლის (ქ. კასპი),

ბეჟიტაშვილი პაპუნა – 9 წლის (ს. სასირეთი, პედ. თამარ ბახტაძე),

ბეჟანიშვილი ქეთი – 10 წლის (ქ. კასპი).

II ადგილი II ასაკობრივ ჯგუფში:

მასიკაშვილი სალომე – 12 წლის (ქ. კასპი),

მიხაკიშვილი აკაკი – 12 წლის (ს. კავთისხევი, პედ. კახა ნონიკაშვილი),

დავითაშვილი ნინი – 12 წლის (ს. ახალქალაქი).

გუნდი – პედ. თამარ ხოკრიშვილი.

I ადგილი I ასაკობრივ ჯგუფში:

მორბედაძე ნუცა – 3 წლის (ქ. კასპი, პედ. ნინო მერებაშვილი),

მიგრიაული არჩილი – 5 წლის (ქ. კასპი).

I ადგილი II ასაკობრივ ჯგუფში:

მარიამიძე დავითი – 12 წლის (ქ. კასპი),

ნაროზაშვილი შოთიკო – 15 წლის (ქ. კასპი).

გუნდი - ს. ოკამი, (პედაგოგი ციური გიგაური).

კონკურს-ფესტივალის გრან-პრი დაიმსახურა თათა ხორგუაშვილმა /12 წლის/.

(საკ. ინფ.)

„როდესაც ადამიანს გულში უფალი ჰყავს„

ხომ იცით, ახალი თანაც კარგი და სასიამოვნო ამბავი რა სწრაფად ვრცელდება, მითუმეტეს, ჩვენნაირ პატარა ქალაქში. ჰოდა, ასე იყო ამჯერადაც, რამდენიმე დღით ადრე იცოდნენ კასპელებმა, რომ 20 ივნისს კიდევ ერთი ახალი ეკლესია უნდა გახსნილიყო. არადა, ამის შესახებ უფრო დაწვრილებით ადგილობრივებმა იცოდნენ, რადგან ტაძრის მშენებლობა ათი წლის წინ დაიწყო და მთელი უბანი მოთმინებით ელოდა მის დასრულებას...

ნატბეურაზე, ოდნავ შემაღლებულ გორაზე აღმართული იოანე ნათლისმცემელის სახელობის ეკლესიის არემარე, მიმდებარე ტერიტორია ხალხს ვერ იტევდა, ვარჯაანელები დიდიან –პატარიანად, ქალაქის



თითქმის ყველა უბნიდან მოსული მომლოცველები ერთმანეთს ულოცავდნენ ეკლესიის გახსნას, სიხარულით ესალმებოდნენ, გზას უთმობდნენ მოსულ სტუმრებს... რეკდა სასიამოვნოდ ნათლისმცემელის სამრეკლო, ტაძარში ჩაუქრობლად ლიცლიცებდნენ სანთლები, მრევლი სიხარულითა და პატივისცემით, იმედით მიეგება გორისა და სამთავისის მიტროპოლიტის მეუფე ანდრიას მობრძანებას და დაიწყო საზეიმო

დამშვიდობებისას მეუფე ანდრიამ მჭედლიშვილების სახლეულიც მოინახულა და დალოცა მათი ოჯახი. ისიც გადაწყდა, რომ ყოველ შაბათს ეკლესიაში

ჩატარდება საღმრთო ლიტურგია, რომელსაც მონაცვლეობით აღავლენენ კასპში მოღვაწე მამები.

ეკლესიაში შეკრებილ მრევლს, ქალაქის მოსახლეობას ახალი ტაძრის გახსნა მიულოცა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ოლეგ იაძემ, მანვე გულითადი მადლობა გადაუხადა მეუფე ანდრიას კასპში ჩამობრძანებისათვის.

“ ვინაც ააშენა “

ხილვა ნამდვილად არ ჰქონია, არც ვინმეს უთხოვია დიმიტრი მჭედლიშვილისათვის ეკლესიის აშენება, როგორც თავად იძახის, უფლის ნებით ყველა

ლიტურგია. ტაძრის კურთხევაში მონაწილეობდნენ გორისა და სამთავისის ეპარქიის მღვდელმსახურნი. მეუფე ანდრიამ თავის ქადაგებაში განაცხადა, რომ ის დიდი მადლი, რომელიც აქ ტრიალებს, მთელ ქალაქს მოიცავს, მან დალოცა შეკრებილი მრევლი, მადლობა გადაუხადა ტაძრის ამშენებელს, დიმიტრი მჭედლიშვილს და საჩუქრად გადასცა ღვთისმშობლის ხატი.

საღმრთო ლიტურგიის დასრულების შემდეგ ჩატარდა ლიტია ანუ ტაძრის გარშემო შემოვლა, რომელშიც მღვდელმსახურებთან ერთად მონაწილეობდა მრევლი. ბოლოს, ლაფერი ძალიან მარტივად, ძალდაუტანებლად მოხდა... თავის სახლთან ახლოს, რამდენიმე მეტრის დაშორებით, პატარა გორაზე იქაურობა მოასწორა, მოაშანდაკა და პატარა სამლოცველოს დადგმა მოიფიქრა, მერე ხის ჯვარიც აღმართა და ოჯახის წევრებთან, შვილებთან ერთად დროგამოშვებით ადიოდა გორაზე, საიდანაც ხელისგულივით მოჩანს კასპი და მისი შემოგარენი. თავიდან უჭირდათ გორაზე ასვლა, რადგანაც მისასვლელი გზა არ უწყობდა ხელს, განსაკუთრებით უამინდობისას, მაგრამ დიმიას (ასე ეძახიან შინაურები) არც ამ პრობლემის მოგვარებაზე უწუწუნია და შეუწუხებია ვინმე. მარტო თვითონ კი არა, ოჯახის წევრებსაც იქ მიუწევდათ გული. ნაცნობ-მეგობრები, რომლებსაც მისი ნახვა უნდოდათ ამ გორაზე აკითხავდნენ. არადა, მართლა უამრავ ნაცნობსა თუ უცნობს სჭირდებოდა მოყვარული მუსიკოსი, რადგან ბევრმა



იცის ალბათ, ნებისმიერი ლხინის თუ ქორწილის სუფრა არ ჩაივლიდა მისი “აკორდეონის” გარეშე. ჰოდა, როგორც კი თავს “დააღწევდა” ლხინსა და ქორწილს, მისი უპირველესი საფიქრალ-საკეთებელი ნატბეურაზე დაწყებული საქმე იყო...

– სულ რამდენიმე ადამიანი ვესწრებოდით ტაძრის ბალავარის ჩაყრას, – იხსენებს კასპის წმინდა თეოდორე ტირონის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, დეკანოზი მამა იოანე (კალატოზიშვილი), – ათი წელი შენდებოდა იოანე ნათლისმცემელის სახელობის ეკლესია და უფლის შეწევნით, დიმიტრი მჭედლიშვილის დიდი მცდელობითა და მოწადინებით ყველაფერი სასიკეთოდ დასრულდა.

წმინდა იოანე ნათლისმცემელის სახელობის ეკლესიის ამშენებლის სახელს ისტორიაც შემოინახავს. მჭედლიშვილებსა და მათ ახლობლებს, მთელ სანათესაოს ისიც დიდხანს ემახსოვრება, რომ ეკლესიის კურთხევის დღეს პაპის აგებულ ტაძარში მისი სეხნია ხუთი წლის დიმიტრი მჭედლიშვილი მოინათლა და ქრისტეს მადლს ნაზიარები ბიჭუნა პაპის ამაგსა და უანგარობას გაკვეთილად გაიხდის, დააფასებს კიდეც, მის საქმეს გააგრძელებს. ვინ იცის...

რუსუდან ხეჩუაშვილი

მუსიკალურ სკოლაში

ივნისის ბოლოს კასპის სამუსიკო სკოლაში გაიმართა ტრადიციული, ყოველწლიური საანგარიშო კონცერტი, რომელსაც ესწრებოდნენ მოსწავლეების მშობლები, მოწვეული სტუმრები, მუსიკის თაყვანისმცემლები... საანგარიშო კონცერტის გახსნის პატივი წილად ხვდა სამუსიკო სკოლის გაერთიანებულ გუნდს (ხელმძღვანელი ზვიად კირვალიძე), რომელმაც შეასრულა საგუნდო სიმღერები, სოლისტები დავით მარიამიძე და მარი მელაძე. შემდეგ სცენა დაეთმო პატარა მუსიკოს-შემსრულებლებს. გაჟღერდა მაიკაპარის, ლომდარიძის, ფარცხალაძის, აზმაიფარაშვილის, გლიერის, ბეთჰოვენის, შოპენის, მენდელსონის, პროკოფიევის, ტურიაშვილის და სხვათა მუსიკალური ნაწარმოებები.

კონცერტში მონაწილეობდნენ: მარიამ მაჭარაშვილი, ანა კორინთელი, ლაშა კენჭუაშვილი, მარი მელაძე (პედაგოგი თ. კორინთელი), მარიამ მენაბდიშვილი, ნიკა ბერიაშვილი, მარიამ ბერიაშვილი, ზვიად თვარაძე, ლალი ოსიყმიშვილი, სალომე ქობულაშვილი (პედაგოგი მ. სოზიაშვილი), ანა მარია მზარეულაშვილი, ნაია სისაური, ანა მარია ნონიაშვილი, ეკა კვერცხიშვილი, ნინო ტყემალაძე, ქეთი ქვრივიშვილი (პედაგოგი ლ. თათანაშვილი), ხატია ხაჩირაშვილი, მარიამ კაციაშვილი, მირიან ჩადუნელი, ელენე რაზმაძე, მარი ტყემალაძე, გვანცა დუშაშვილი (პედაგოგი ს. ლომსაძე), ხატია მამულაშვილი, მარიამ ჟივიძე, ეკა დაბრუნდაშვილი, მარიამ მიდელაშვილი (პედაგოგი ლ. ნონიაშვილი), თინათინ კარბელაშვილი, მარი ხუციშვილი (პედაგოგი ხ. ბათილაშვილი), ანი ჯავახიშვილი (პედაგოგი ნ. ყოჩიშვილი).

დარბაზში შეკრებილი საზოგადოება განსაკუთრებით მოხიბლა ილუსტრატორმა ქეთევან გაჩეჩილაძემ და მისმა კომპანიონმა მირიან ჩადუნელმა, რომლებმაც შთამბეჭდავად შეასრულეს სულხან ცინცაძის ცნობილი მუსიკალური ნაწარმოები "თბილისო," ღონისძიების კონცერტმეისტერი იყო თეა კორინთელი.

— წლევანდელ საანგარიშო კონცერტს წინ უსწრებდა პირველკლასელთა კონცერტი, რომელიც მარტში გაიმართა, — აცხადებს სამუსიკო სკოლის დირექტორი თეა კორინთელი, — აპრილში ჩავატარეთ ქართული მუსიკის საღამო, მოგვიანებით კი ვუმასპინძლეთ კულტურის სამინისტროდან ჩამოსულ ტრიო "სუპრეს" და სავიოლინო კვარტეტს. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, ემსახურება ჩვენი ბავშვების მუსიკალურ აღზრდასა და განვითარებას. კონცერტის დამთავრების შემდეგ დარბაზში შეკრებილ საზოგადოებას მიესალმა კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე. კონცერტს ესწრებოდნენ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორი ხათუნა ტყემალაძე, სახელოვნებო სკოლების გაერთიანების წარმომადგენლები.

სახელოვნებო სკოლების გაერთიანება.

იუბილე ხსოვნის ჩარჩოში

(საშუალო სკოლის დამთავრებიდან 60 წლისთავის გამო)

ზარი, რომელიც ხოვლის საშუალო სკოლაში, 1953 წლის გაზაფხულზე, ვარდებით გაჯერებულ მაისის დილით დაირეკა, მარტო სასწავლო წლის დამთავრებას როდი იუწყებოდა, იგი მეთერთმეტეკლასელებისათვის ბოლო აღმოჩნდა, მათ შორის ამ სტრიქონების ავტორისთვისაც.

მაისი თიბათვემ ჩაანაცვლა, სიმწიფეში შევიდნენ ზურმუხტისფერი სათიბები, მზეკაბანაში გახვეული პურის ყანები... და თუმცა, "ლამის სახლში შემოიჭრა(ს) თუთა" (ანა კალანდაძეს დავესესხე), მაგრამ ჩვენ მათთვის არ გვეცალა, წინ "ცხელი" დღეები გველოდა: გამოსაშვები გამოცდები.

ეს რუბიკონიც გადავლახეთ...

და როცა, სკოლის კოლორიტულმა დირექტორმა, ქალბატონმა ნინო ხომერიკმა სიმწიფის ატესტატები გადმოგვცა, მაშინ მივხვდით, როგორ გაფრენილა ჩვენი ბავშვობისა და სასკოლო ცხოვრების "დღეები სამარგალიტო" (გოგლა ლეონიძის სიტყვებია).

მას მერე სამოცი წელი გავიდა...

ჟამთა დინებაში ჩაიკარგა მაისები და ივნისები...

"წელიწადები წავლიან ძველი," — დაიჩივლა დიდმა გალაკტიონმა.

გასული საუკუნის 50-იან წლებში ხოვლეში, მაღალკვალიფიციური, განათლებული და ერუდირებულ პედაგოგთა "ვარსკვლავების" ცვენა იყო. რას არ გავიღებდი ახლა, ის ბედნიერი წლები რომ დაბრუნდებოდეს და დღესაც ვისმენდე უმშვენიერესი ნინო ხომერიკის უზადო გაკვეთილებს ქიმიასა და ფიზიკაში; საკლასო ჟურნალით ვხედავდე ჩვენი კლასის დამრიგებელს ზიზო მამაჯანაშვილს და ისტორიის ლაბირინთებში მიგვიძღოდეს; დაფასთან ამოცანებს გვიხსნიდეს მათემატიკის მომხიბლავი მასწავლებელი და სასწავლო ნაწილის გამგე მანია ბახტაძე; ქართული ენისა და ლიტერატურის სიყვარულით გვანებივრებდეს რაისა კაპანაძე; გეოგრაფიულ რუკებთან იდგეს სათნო და კეთილი ნინო ბეგლარაშვილი; დილის გამამხნევებელ ვარჯიშზე გვიხმობდეს სპორტზე შეყვარებული ამირან ბახტაძე...

რამდენი ერთი გავიხსენო...

წავიდა მათი დიდი უმრავლესობა, მაგრამ დატოვეს კვალი ნათელი, სახელი, აღზრდილი მრავალი თაობა. მუხლს ვიდრეკ მათი ღვაწლისა და ხსოვნის წინაშე.

დამეთანხმებით, სკოლის დამთავრების სამოცი წლისთავი საიუბილეო თარიღია, მაგრამ, ჩვენ როგორ აღვნიშნოთ, როცა მთელი კლასიდან თითქმის ყველა

წასულა მზის ქვეყნიდან. მიჭირს ახლა, მაგრამ სულეთიდან უნდა გამოვიხმო ჩემი სიყრმის მეგობრები და თანაკლასელები: ულამაზესი და თვალმახარა ბიძაშვილები, ჟუჟუნა და მაყვალა გოგინაშვილები, ბედთან მორკინალი და ტრაგიკული დარეჯან ჯალალი, უნიჭიერესი და მუხლჩაუხრელი პედაგოგი, შემდგომში ხოვლის საშუალო სკოლის დირექტორი ვახტანგ ხუციშვილი, ვაზებთან და ხეხილის ძირებთან მოფუსფუსე მიხეილ ხუციშვილი, მუდამ ღიმილიანი და გამრჯე დილარ გოგინაშვილი...

ღმერთო ჩემო, რა ახალგაზრდები წავიდნენ, როგორ ნაადრევად შემოაღამდათ და უცაბედად მოწყდნენ "სიცოცხლის ხეს", ქარდაკრული ფოთლებივით... დიდი ოჯახები დარჩათ, სახელი, შთამომავლობა...

მომიტევონ ჩემმა ოსი ეროვნების თანაკლასელებმა გერისო საკაშვილმა (ინჟინერმა, რომელმაც კასპში არაერთი საცხოვრებელი სახლი ააშენა), ვალერიან ჯეირანაშვილმა, ფედრო ფილიშვილმა, ბორის ხაბალაშვილმა... ყოველ შაბათ-კვირას თრიალეთში რომ კეცავდნენ ბილიკებს და საყავრიდან ჩამოდიოდნენ ხოვლეში განათლების მისაღებად... სითბო და მზრუნველობა არ მოაკლო სკოლამ, სოფელმა. აქედან გავიდნენ ცხოვრების დიდ გზაზე, მაგრამ დროის კატაკლიზმებით "დავკარგეთ", არ ვიცით, ბარიკადებს იქით მოხვდნენ თუ აქეთ...

და მაინც, იმედს არ ვკარგავთ... ვწერ ამ საიუბილეო მოგონებას და არ მცილდება გალაკტიონის უკვდავი ლექსი, "ყველას რაიმე აქვს სახსოვარი" და გულზე მხვდება ერთი სტრიქონი "სურათი რამე კარგზე მგლოვარი". ჰოდა, "გადმოდის" ეს პატარა ფოტო-სურათი ჩემი საოჯახო ალბომიდან და თქვენი თვალთახედვის არეში ხვდება ოთხი ღიმილდაფრქვეული გოგონა, რომლებსაც სოცოცხლე უხარიათ, ახალგაზრდობაც და იმედიანი მომავალიც...

სწორედ ეს ფოტო-სურათი მტკივა, "მგლოვარია", რადგან მარცხნიდან ორი - მაყვალა და ჟუჟუნა გოგინაშვილები "გზა მართალს" არიან ნაადრევად წასული, ხოლო (მარჯვნიდან) ამ სტრიქონების ავტორი (ვნანობ, რომ მათსავით სასკოლო ფორმაში არა ვარ გამოწყობილი) და მერი გიორგაშვილი, ბედად ვართ გადარჩენილი (ვგონებ, მთელი კლასიდანაც) და არ ვიცით, როდის დარეკავს საწუთრო ჩვენთვის, სიცოცხლის ბოლო ზარს. "იქნებ, ეგ სულ მალე

* დასასრული მე-7 გვ.

“ახ, რა კარგი ახალგაზრდა ვიყავი! ...”

ხშირად უყვარს ამ სიმღერის წაღიღინება ბელა კობიაშვილს.

“ცხოვრებისგან მუდამ გაურიყავი”... ამაზე კი სინანულით ეღიმება – ცხოვრება საკმაოდ ხშირად რიყავდა, დაუნდობლად უტევდა, ებრძოდა, მაგრამ ბელას უკან არასოდეს დაუხევია – შემოტევას შეტევით პასუხობდა, უიღბლობას – იმედიანობით, მწუხარებას ღიღინით, დარდს სიმღერით იქარვებდა, სიყვარულს კი ყოველთვის სიყვარულით პასუხობდა.

ცხოვრებას ებრძოდა, თუმცა სიყვარული არასოდეს მოჰკლებია – კასპის პირველი საშუალო სკოლის წარჩინებულ ლოტბარს 40 წელია თბილი ღიმილით ესალმებიან და კითხულობენ მოწაფეები, ნამოწაფრები თუ მათი მშობლები, მასწავლებლები, მეგობრები თუ მეზობლები... ისიც არავისთვის იშურებს კეთილ სიტყვას, გულიან მისალმებას, მოკითხვას და თანადგომას – ვის სიტყვით, ვის საქმით, ვის ნაცნობით... ერთს აწუხებს, რომ მეორეს დაეხმაროს, დალხინებულისგან იღებს, რომ გაჭირვებული წამოაყენოს, ნაცნობს ურეკავს, რომ უცნობის დახმარება შეძლოს, რადგან იცის –ეს უცნობი მოყვასია, მოყვასს კი თანადგომა სჭირდება...

ასე იცხოვრა, ასე მოვიდა დღემდე..

ოცი წელი კასპის კულტურის სახლის დირექტორი იყო და კარგად ახსოვთ მის თანამშრომლებს, როგორი თანადგომა იცის გაჭირვების ჟამს, თუმცა დალხინებისას სიმკაცრესაც არ აკლებდა...

ბოლო სამი წელია კასპის მუნიციპალიტეტთან არსებული სახელოვნებო სკოლების გაერთიანების სპეციალისტია. აქაც შემოიტანა თანდაყოლილი ხალისი და უშრეტი ენერგია, ღიღინით და მხიარულებით აავსო პატარა ოთახები...

“არასოდეს მიცხოვრია გლეხურად... კაცი ვიყავ, თავზე ქუდი მეხურა”..

ბოლოს თითქოს ავადმყოფობამ შემოუტია. გაწყრა, გაბრაზდა – შენ ჩემთან რა ხელი გაქვსო, – შეუტია, ფეხები დაუბაკუნა და ის უჩინრად შემოპარული სენიც ადგილზე გაშეშდა, გაოცდა, შეცბა და უკან დაიხია... “არჩევანი შენ, არადანი მე”–სიმღერა მოსწყდა ოთახიდან გაძურწულს...

ბელამ კი ისევ მოიმხიარულა – ავადმყოფობა რა სათქმელია, როცა გული სიყვარულითა გაქვს სავსე, თავში კი ისევ ისეთი ანცი ფიქრები გიტრიალებს, როგორც უწინ ახალგაზრდობისას...

“ლურჯი აპრილი შენს თავს მაგონებს”...

მღერის ბელა და ღიღინით ასდევენ მეგობრები...

იხსენებენ წარსულს, მხიარულ დღეებს... იხსენებენ განვლილ სევდამწუხარებასაც, მაგრამ უკვე მსუბუქად, რადგან განვლილი უფრო მეტია, ვიდრე გასავლელი...

“იმასაც მოკლედ უვლია, ვის გრძლად ეგონა, იარა... ჩვენ რას წავიღებთ იმ ქვეყნად, სხვას არა წაუღია რა...”

...ჭერი იხდება ყველა ოჯახში, სადაც ბელა შედის...

...განზე იწევენ კედლები, როცა ბელა ფორტეპიანოს მიუჯდება...

დარდი და მოწყენილობა გარეთ მიიძურწება და ოთახი სინათლით ივსება...

“ორთავ თვალის სინათლევ, რაზედ მოგიწყენია”... –ქარს მიაქვს გაღებული ფანჯრებიდან მონაბერი სევდაშერეული ჰანგები...

“იმ ქალს, იმ ბერიკაცს გაუმარჯოს, ვისი ცხოვრების გზაც შვეულია, ვისაც არასოდეს გაუმართლა, მაინც სიყვარული შეუძლია”...

სახელოვნებო სკოლების გაერთიანება.

იუბილარი

სამოცდათხუთმეტს გადააბიჯა, განვლილი წლების მიუხედავად მაინც ჭარმაგად გამოიყურება. იუბილე პომპეზური არ ყოფილა, მაგრამ მისმა ოჯახმა, უახლოესმა მეგობრებმა, აღზრდილებმა გულითადად მიულოცეს დაბადების დღე და კიდევ ერთხელ გაამხნევეს უერთგულესი და მოსიყვარულე ადამიანი, წარსულში კარგად ცნობილი ფეხბურთელი, მრავალი თაობის დამკვალიანებელი რეზო ტყემალაძე.

იუბილარი კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ოლეგ იაძემ გამგეობაში მიიპატიჟა და საგანგებოდ მისთვის დამზადებული კასპის გერბი და საჩუქარი გადასცა... კასპელებს და არა მხოლოდ მათ კარგად ახსოვთ საფეხბურთო გუნდ “განთიადის” თავდამსხმელის, შორი მანძილიდან მოწინააღმდეგის კარში გატანილი მოულოდნელი გოლები.

მრავალშვილიან ოჯახში დაბადებული ნაბოლარა ბიჭი ბავშვობიდანვე იყო გატაცებული სპორტით, განსაკუთრებით კი ფეხბურთელობაზე ოცნებობდა. ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე იყო რეზო ტყემალაძე, როდესაც “მეცემენტეში” ითამაშა. ფეხბურთის სპეციალისტებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ახალბედა სპორტსმენის მონდომება და მასზე დიდ იმედს ამყარებდნენ. მერე კი როდესაც სავალდებულო სამხედრო სამსახურში ყოფნისას რეზო ტყემალაძემ თბილისის ოფიცერთა სახლის ფეხბურთელთა გუნდის შემადგენლობაში თავდამსხმელის “პოსტი” მოირგო აღარავის გაჰკვირვებია მწვრთნელების გადაწყვეტილება. მოგვიანებით, როდესაც რეზო ტყემალაძემ ფიზკულტურის ინსტიტუტი დაამთავრა, გორის “დილასგან” მიწვევა მიიღო და გუნდის თავდამსხმელი გახდა.

– დინჯი, ძალიან გააზრებული, მოფიქრებული თამაში იცოდა რეზომ, – იხსენებენ მისი თანაგუნდელები, – რაც მთავარია, შესანიშნავად ხედავდა მოედანს, ზუსტად იცოდა სად იყო საჭირო მისი ყოფნა, ამიტომაც ეშინოდა მეკარეს მისი და, რა თქმა უნდა, უსაფუძვლო არ იყო ეს ავი წინათგრძნობა, თავდამსხმელიც არ “უცრუებდა” იმედს. თქვენ წარმოიდგინეთ, ასეთი გამორჩეული შესაძლებლობებისა და მოხერხებულობის მქონე თავდამსხმელს თბილისშიც კი უპირებდნენ გადაყვანას, მაგრამ საბოლოოდ იგი გორის “დილასაც” შეელია და კასპში დამკვიდრდა, “განთიადის” არა მარტო მოთამაშე მწვრთნელი, არამედ მისი კაპიტანიც გახდა. როგორც კი სათავეში ჩაუდგა “განთიადს”, ჭკვიანმა მწვრთნელმა და კაპიტანმა ძლიერი გუნდი ჩამოაყალიბა და წარმატებასაც მიაღწიეს ფეხბურთელებმა, გუნდმა სულ მცირე დროში მოახერხა და მესამე ჯგუფიდან მეორეში გადაინაცვლა...

სამოცდაათიანი წლების ბოლოს რეზო ტყემალაძე კასპის მოსწავლეთა კომპლექსური სპორტული სკოლის დირექტორად დაინიშნა. ეძნელებოდა “განთიადის” კაპიტანს მოედანთან გამოთხოვება, მაგრამ ფეხბურთის თამაშის საერთო წესებს ვერავინ შეებრძოლება და ცხადია, დრომ თავისი მოთხოვნილებებისა და კანონის წინაშე დააყენა. თუმცა, სპორტსკოლის დირექტორს და აღიარებულ ფეხბურთელს მოედანი მაინც არ დაუტოვებია, ამჯერად ბავშვთა საფეხბურთო გუნდს ჩაუდგა



სათავეში, ავარჯიშებდა პატარებს, მის გარეშე რაიონში არც ერთი სპორტული ღონისძიება არ გამართულა, დიდი შემართებითა და მონდომებით იბრძოდა ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდისათვის. იმჟამინდელი სპორტსკოლის დირექტორს რეზო ტყემალაძეს გაწეული ამაგისათვის დღესაც ემადლიერებიან სპორტსმენები, განსაკუთრებით კი მათი მშობლები, რომლებსაც მუდამ უმართავდა ხელს, აკვალიანებდა.

რეზო ტყემალაძემ მთელი თავისი ენერგია და გამოცდილება სპორტით დაინტერესებულ ახალგაზრდების აღზრდასა და ჩამოყალიბებას შეალია. ბევრ მათგანს გაუმართა ხელი, დაეხმარა, ასდალი ტოტოჩავას უდროოდ დაკარგვით განიცადა არა და არ შორდება... არც გაემტყუნება, ცხოვრება ხომ ასეთია, წარსულზე ხშირად ფიქრობს, გულითადობითა და პატივისცემით ხვდება აღზრდილებს, გულშემატკივრებს...

გამოიწერეთ
“ახალი განთიადი”
და გახდით
ჩვენი მკითხველი!

იუბილეი ხსოვნის ტაძარში

(სკოლის დამთავრებიდან 60 წლისთავის გამო)

* დასასრული

მოხდეს" (ლადო ასათიანის გულსატკენი სიტყვებია) ან, იქნებ, "სიკვდილი ცოტას მოიცდის" (ეს კი კონსტანტინე ლორთქიფანიძისაგან ავიღე).

ვინ იცის?! ...

სამოცი წელი თვალსა და ხელსშუა აგვაცალა წუთისოფელმა. მივალ ახლა ხოვლეში, ქალბატონ მერი გიორგაშვილის ოჯახში, ერთმანეთს მივულოცავთ ამ იუბილეს, ხსოვნის ტაძარში პატივს მივაგებთ სულეთში წასულ კლასელებსა და პედაგოგებს ყვავილებით, სანთლებით, დუმილის ცრემლებით... მერე ჩვენი ცხოვრების წიგნებს გადავშლით, რას არ წავიკითხავთ: სიხარულსა და მწუხარებას, სიყვარულსა და ღალატს, ჭირსა და ლხინს, შვილების ზრუნვაში განცდილსა და ნანახს, ერთგულებასა და თანადგომას, ომებს (ჩვენი ბავშვობის სუსტ მხრებს რომ აწვა მეორე მსოფლიო ომის საშინელებანი), დაკარგული აფხაზეთი და სამაჩაბლო...

აღმართები და დაღმართები... ერთი სიტყვით, ყველაფერი ადამიანური გვქონდა, სიცოცხლე კი ისევ გრძელდება, ცხოვრება ისევ გვეძახის...

ნორა ედიშერაშვილი.

ჯავარ ნაჭყებიას სახელობის

* დასასრული

ერთი ინდივიდუალური ცეკვა.

კონკურსის უმაღლესი ჯილდო ჯავარ ნაჭყებიას სახელობის ჟიურის სპეციალური პრიზი მასობრივ ცეკვებში დაიმსახურა ბავშვთა სახალხო ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა "დიდგორი" ("აჭარული" და "მთიულური"), ხელმძღვანელი ქეთევან მონასელიძე, მთ. ქორეოგრაფი მარინა რუსიშვილი, ქორეოგრაფები: დარინა პაპაშვილი და სოსო ღვინიაშვილი).

საპრიზო ადგილები კი ასე განაწილდა:

I ადგილი:

მასობრივ ცეკვებში – ანსამბლი "რკონი" (ხელმძღვანელი მაკა დათაშვილი) ცეკვა "აჭარული";

ინდივიდუალურ ცეკვებში – ანსამბლი "დიდგორი" ცეკვა "აფხაზური".

II ადგილი:

მასობრივ ცეკვებში – ანსამბლი "ერთაწმინდა" (ხელმძღვანელი ნუკრი საბიაშვილი, ქორეოგრაფი ნინო პავლიაშვილი) ცეკვა "ოსური,";

ინდივიდუალერ ცეკვებში – ანსამბლი "რკონი" ცეკვა "ლაზური," (დუეტი) მეორე ადგილზე გასულ ინდივიდუალურ შემსრულებლებს სალომე მუხიგულაშვილს და ნინო ხუროშვილს გადაეცათ სპეციალური პრიზი "კონკურსის აღმოჩენა, საუკეთესო შემსრულებლები."

III ადგილი:

მასობრივ ცეკვებში – ანსამბლი "იმედი" (ხელმძღვანელი ინგა თაბუკაშვილი) ცეკვა "ზეიმი მთაში";

ინდივიდუალურ ცეკვებში – ანსამბლი "რკონი" ცეკვა "ქართული".

კონკურს-ფესტივალის ლაურეატები გახდნენ: ანსამბლი "ახალი ნათება." (ქორეოგრაფი მაია ბიტარიშვილი), ანსამბლი "გორგასალი" (ქორეოგრაფი იზაბელა თაბუკაშვილი), ანსამბლი "კავთურა" (ქორეოგრაფი შორენა ამირეზაშვილი).

ჟიურის წევრმა გია კენკებაშვილმა, პედაგოგ-ქორეოგრაფთა გაერთიანება "საქართველოს ერთსულოვნები"-ს სახელით დაწესებული პრიზი "საუკეთესო მთიულურის შესრულებისათვის" გადასცა ანსამბლ "დიდგორს."

ყველა ქორეოგრაფი კონკურსის ორგანიზატორების მიერ დასაჩუქრდა ბიბლიით, ხოლო ყველა მონაწილე – სიგელითა და ხატით.

ჭიდაობა

წინ მსოფლიო ჩემპიონატია

1-2 ივნისს ქ. მცხეთაში ჩატარდა ოლიმპიური და მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონის რომან რურუას სახელობის ტრადიციული ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში 1996-98 წლებში დაბადებულ სპორტსმენებს შორის. ამ შეჯიბრებაზე წარმატებით იასპარეზა ჩვენი რაიონის წარმომადგენელმა მწვრთნელ გოჩა გაბოძის აღსაზრდელმა გიორგი ყაზარაშვილმა. მან ფინალამდე დიდი უპირატესობით დაამარცხა ყველა მოწინააღმდეგე და ფინალში საქართველოს ჩემპიონთან და ქვეყნის ნაკრების წევრთან, საგარეჯოელ გიორგი პასიკაშვილთან მოუწია შეხვედრა.

ფინალური შეხვედრა ძალიან დაძაბულად წარიმართა. გამოცდილმა გიორგი პასიკაშვილმა დასაწყისში სამი მომგებიანი ქულა მოიპოვა და საგრძნობლად დაწინაურდა. პირველი პერიოდის ბოლოს გიორგი ყაზარაშვილიც გააქტიურდა, ჯერ ეფექტური გდებით სამი ქულა მოიპოვა,შემდეგ მოწინააღმდეგე ჩოქბჯენში გადაიყვანა და პირველი პერიოდი თავის სასარგებლოდ დაასრულა. მეორე პერიოდში იგრძნო რა, დამარცხების საშიშროება, პასიკაშვილიც გააქტიურდა და მეტოქეს მაღალი ტემპი დაუპირისპირა, ერთხანს ყაზარაშვილი ყრუ დაცვაზე გადავიდა, რის გამოც პასიურობისათვის მსაჯებისგან შენიშვნა მიიღო. საბედნიეროდ გიორგიმ ტაქტიკა სწრაფად შეცვალა და მოწინააღმდეგის შეტევებს შეტევითვე უპასუხა და რამდენიმე მომგებიანი ქულა აიღო. შეხვედრის მიწურულს დამარცხების წინაშე მყოფმა პასიკაშვილმა გარისკა და მოინდომა ეფექტური ილეთის შესრულება, რის საშუალებაც გიორგიმ არ მისცა, უფრო მეტიც, გიორგიმ მეტოქე დაიჭირა საკუთარ ილეთზე და წმინდა გამარჯვება მოიპოვა. ამ გამარჯვებით გიორგი ყაზარაშვილმა ტურნირის ჩემპიონობა, გარდამავალი თასი და ფულადი ჯილდო დაიმსახურა.

14-15 ივნისს გიორგი ყაზარაშვილმა კიდევ ერთი წარმატება ქალაქ ბათუმში ფარვიზ გაგუას სახელობის საერთაშორისო ტურნირზე იზეიმა. საინტერესოა ისიც, რომ ბათუმში საქართველოს საუკეთესო მოჭიდავეებთან ერთად სომხეთისა და აზერბაიჯანის

სპორტსმენებიც იღებდნენ მონაწილეობას. გიორგი ყაზარაშვილმა ამ ტურნირზეც წინასწარ შეხვედრებში, ფინალამდე თანმიმდევრობით დიდი უპირატესობით დაამარცხა ყველა მოწინააღმდეგე. ნახევარფინალში დაამარცხა სომხეთის წარმომადგენელი და ფინალში მასპინძელ, ბათუმელ ზოიძეს დაუპირისპირდა.

ფინალური შეხვედრა გიორგი ყაზარაშვილის დიდი უპირატესობით წარიმართა და 8 მომგებიანი ქულის მოპოვების შემდეგ ორთაბრძოლა ვადაზე ადრე დამთავრდა. ამ წარმატებების გამოა, რომ გიორგი ყაზარაშვილი შეიყვანეს საქართველოს ნაკრები გუნდის შემადგენლობაში და 23 ივლისიდან იგი მსოფლიო ჩემპიონატისათვის მოსამზადებელ შეკრებას ონში გაივლის, სადაც გაიმართება საკონტროლო შეხვედრები და წარმატების შემთხვევაში გიორგი ყაზარაშვილი მონაწილეობას მიიღებს მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც ჩერნოგორიაში გაიმართება.

წარმატებას გისურვებთ გიორგი!

სპორტის დაწესებულებების გაერთიანება.

სპორტი

დასრულდა 2012–2013 სასწავლო წლის მოსწავლეთა სპარტაკიადა

დასრულდა 2012–2013 სასწავლო წლის მოსწავლეთა სპარტაკიადა, რომელიც დაიწყო 2012 წლის 25 ოქტომბერს და მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. დებულების თანახმად სპარტაკიადა სპორტის 9 სახეობაში ჩატარდა. 1. რბენა 100 მეტრზე, 2. გამორბენითი სიგრძეზე ხტომა, 3. ფრენბურთი (გოგონები და ვაჟები), 4. ჭადრაკი, 5. მაგიდის ჩოგბურთი, 6. კალათბურთი (გოგონები და ვაჟები), 7. მინიფეხბურთი, 8. ქართული ჭიდაობა, 9. 64-უჯრიანი შაში. სულ კი შეჯიბრებებში ათას ხუთასამდე მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა. შეჯიბრებების მიმდინარეობისას ნათლად იგრძნობოდა მოსწავლეთა მონდომება და გამარჯვების დიდი სურვილი. აქედან გამომდინარე ყოველი შეხვედრა ძალიან დაძაბულად, თან სახალისოდ მიმდინარეობდა. დაძაბული შეხვედრების მიუხედავად, სპარტაკიადაში მონაწილე სხვადასხვა სკოლის მოსწავლეებს ჩამოუყალიბდათ მეგობრული ურთიერთობა, სწორედ ეს არის ამ ღონისძიების ერთ-ერთი მიზანიც.

შეჯიბრებები ტარდებოდა ორ ეტაპად, ზონალური და შემდეგ ფინალური შეხვედრები. მთლიანად მუნიციპალიტეტი დაიყო სამ ზონად. ზონებში პირველი, მეორე ადგილები გამოდიოდნენ ფინალში და მხოლოდ ამის შემდეგ გამოვლინდებოდა გამარჯვებული.

სპარტაკიადას ჰქონდა პრობლემებიც, მაგალითად, ძალიან ბევრი სკოლა თანხის უქონლობის გამო ვერ ახერხებდა თავისი გუნდის მივლინებას, რაც საბოლოო ჯამში აისახა მონაწილეთა საერთო რაოდენობაზე. კარგი იქნება, თუ წლევანდელ "მაგალითს" გაითვალისწინებენ სკოლის დირექტორები და მომავალი სპარტაკიადისთვის მსგავსი პრობლემები აღარ იქნება.

ახლა კი წარმოგიდგენთ საპრიზო ადგილებზე გასულ სკოლებს.

პირველი ადგილი – სამთავისის საჯარო სკოლა (დირექტორი ლელა ჩერქეზიშვილი, მასწავლებელი ელენე ბოლოთაშვილი).

მეორე ადგილი – ქვემო გომის საჯარო სკოლა (დირექტორი თამარ მამულაშვილი, მასწავლებელი ვასიკო მამულაშვილი).

მესამე ადგილი –ზემო ხანდაკის საჯარო სკოლა (დირექტორი დავით გორგაძე, მასწავლებელი მერი ბერიანიძე).

საბაზო სკოლებიდან ადგილები ასე განაწილდა: პირველი ადგილი – მეტეხის №2 საბაზო სკოლა (დირექტორი გიორგი ბუდაღაშვილი, მასწავლებელი თამაზ ჯლანტიაშვილი).

მეორე ადგილი – მიქელწყაროს საბაზო სკოლა (დირექტორი მაია ლაფერაშვილი, მასწავლებელი ზურაბ ადამაშვილი).

მესამე ადგილი – ფერმის საბაზო სკოლა (დირექტორი და მასწავლებელი შახალ ისმაილოვი).

გოდერძი მარიდაშვილი,
კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის სპეციალისტი სპორტისა და განათლების საკითხებში.

გვმოგვიწერეთ

„ახალი განთიადის„ მკითხველს შეუძლია მოგვწეროდეს თავისი შედგენილი – სასაცილო კროსვორდები, შემეცნებითი-გასართობი მასალები. მათგან უველაზე საინტერესო გამოქვეყნდება სპეციალური რუბრიკით „გონებანი გონიერსა.„ დაინტერესებული მკითხველს შეუძლია მოგვმართოს მისამართზე – კასპი, საბაძის ქ. 68.

„ახალი განთიადი„ იძიებს ჩვინტერესოთ ჩურთიებს ჩიოინიგ ჩვგვბეთთ ფოტო-მასალინიგ შეგნაქმნელოვლ. თხოვნით მიგმართავთ თანგარიოინელებს - ლაფოვეთ თქვენი ყველი ჩვენგ მასალინეში!
გვმოგვიგზავნეთ ჩვინტერესოთ ლა ჩვხალოიგთ ფოტოები!

მეირთასი მკითხველო,

ალამიანი ბიტოცლოიგ განმავლობაში მრავალი უცნაური, მოულოდნელი თუ ვუჩვნელი მოვლენიგ მოწმე ხდება. უმეტეგ შემთხვევაში ანრ ვიცით, ვიგ გვუზიარეთ ნანახი, ალბათ იმიგ შიშით, რომ შეიძლება ანრაჩვნორალ გაგვიგონ.

თუ ყოფილხარ მომჩნერე ალუჩვნელი, უცნაური, შეუცნობელი მოვლენიგა შეგძლიათ მოგვწოლთ ამ მოვლენიგ ამჩვნელი მჩვლა. მიგი გაცნობიგა ლა შეგნწავლიგ შემლეგ თუ იგი ჩვინტერესოთ იქნება გაზეთიგ მყითხველიჩვთვიგ, გამოქვეყნდება გაზეთში რუბრიკით "შეუცნობელი".



ჩვკერეთიგ შემთხვევაში შეგვიძლია თქვენგ მიერ შემოთავაზებული წერილი გალავეთ ფურნალ "ფენომენენ" ლა შეჩვბამიხალ ალ ავტორი გვიცნობ ერთ შეთანხმებენ ალ ეთანხმებენ.

ჩვენი სასუვარელი პაციარები!

გასული წლიდან მოყოლებული სულ ვეწდილობთ თქვენთვის საინტერესო თემებზე გესაუბროთ, უფრო სწორად, ისეთ რამეებზე და ისეთ ვინმეებზე, რომელთა შესახებ მშობლებს ეზარებათ (ან არ სურთ!) საუბარი.

თქვენ ახლა უფრო ბევრი იცით ვიდრე მარმანდა თუ ხშირად ნაიკითხავთ ჩვენს გაზეთს, მართლაც, ბევრ საინტერესო და საამოვნო სიახლეს შეიტყობთ საუკარელ ზოაპრის თუ მულტფილმის გმირებზე, მსოფლიოში გაფანტულ საბავშვო მუზეუმებსა თუ ატრაქციონებზე, ნაკლექვეშა სასახლეებსა და ალაბში "დამალულ" საგანძურზე... ნინ მოულოდნელად საინტერესო შეხვედრები გელოდებათ, ოლონდ ამისათვის აუცილებლად უნდა გამოინეროთ ჩვენი გაზეთი "ახალი განთიადი"!

მაშ ასე, უურადღებით:

თუ გსურთ ჩვენი გაზეთის ხელმომძღერი გახდეთ, მობრძანდით რედაქციაში! გაავორმეთ ხელმონერა, დატოვეთ თქვენთვის საინტერესო შეკითხვები და უახლოეს ნომერში მიიღებთ პასუხს თქვენს საუკარელ რუბრიკაში "კეხურა".

ჩვენ

ჩვენს საუკარელ მარიამ ტუემალაძეს ვუილოცავთ დაბადების დღეს!

ძვირფასო მარიამ, გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, იღბლიან და წარმატებულ ცხოვრებას! შენი გონიერებისა და გულისხმიერების წყალობით გვჯერა ლირსეული ქართველი გაიზრდები. დაესწარი მრავალს, ვისურვებდით, რომ შენი მომავალი ახდენილი ოცნების საადარი უოფილიუოს.

ოჯახი.

განცხადება

2013 წლის 9 სექტემბერს, 12 საათზე შპს "იბერია-ცემენტი-"ს ადმინისტრაციულ შენობაში (მის: კასპის მუნიციპალიტეტი, სოფელი სამთავისი) გაიმართება სამშენებლო მასალების საწარმოს პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანს წარმოადგენს ცემენტის წარმოება. საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- კასპის მუნიციპალიტეტი, სოფელი სამთავისი (კომპანიის ოფისში),
- გორი, ბარნოვის ქ.9ª ტელ: 599 708 055

დოკუმენტაციის ელ.ვერსიის გაცნობა ასევე შესაძლებელია შემდეგ ელექტრონულ მისამართებზე:

www.moe.gov.ge; www.aarhus.ge

საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა (დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე) 2013 წლის 30 აგვისტოს 12 საათამდე.

შპს "იბერია-ცემენტი-"ს ადმინისტრაცია.

განცხადება

2013 წლის 5 სექტემბერს, 12 საათზე შპს "ევროცემენტი-"ს ადმინისტრაციულ შენობაში (მის: კასპის მუნიციპალიტეტი, სადგური კავთისხევი) გაიმართება სამშენებლო მასალების საწარმოს პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანს წარმოადგენს ცემენტის წარმოება. საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- კასპის მუნიციპალიტეტი, სადგური კავთისხევი (კომპანიის ოფისში),
- გორი, ბარნოვის ქ.9ª ტელ: 599 708 055

დოკუმენტაციის ელ.ვერსიის გაცნობა ასევე შესაძლებელია შემდეგ ელექტრონულ მისამართებზე:

www.moe.gov.ge; www.aarhus.ge

საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა (დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღე) 2013 წლის 30 აგვისტოს 12 საათამდე.

შპს "ევროცემენტი-"ს ადმინისტრაცია.

ფოტო მატიანე



რედაქცია შემოხული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „ქოლორში„

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.
რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი: 2600 ქ კასპი საბაძის ქ. № 68
ტელეფონი 22-25-76